გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

10 სექტემბერი 2024

N 2-743

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

შპს „მანგანუმ ლოჯისტიკზე“ გაცემულისასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შპს „მ.ნ ფექტორისთვის“ გადაცემის შესახებ

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილის, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ 2022 წლის 17 მარტის საქართველოს კანონის (№1445) მე-2 მუხლის მე-2 ნაწილისა და სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 4 სექტემბრის N21/9442 წერილის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. შპს „მანგანუმ ლოჯისტიკზე“ (ს/კ: 416334149) გაცემული სასარგებლო წიაღისეულის გადამუშავებაზე (მანგანუმის მადნის გამდიდრება) საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 19 მარტის №2-379 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გადაეცეს შპს „მ.ნ ფექტორს“ (ს/კ: 405165627).

2. შპს „მ.ნ ფექტორიმ“ უზრუნველყოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2024 წლის 19 მარტის №2-379 ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით დადგენილი პირობების დაცვა.

3. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განხორციელდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით.

4. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს: სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრ, სსიპ - გარემოს ეროვნულ სააგენტოს, სსდ - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს, შპს „მანგანუმ ლოჯისტიკას“ და შპს „მ.ნ ფექტორს“.

5. ეს ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „მანგანუმ ლოჯისტიკას“ და შპს „მ.ნ ფექტორის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე.

6. ამ ბრძანების გამოცემიდან 2 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სსიპ - გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრის გარემოსდაცვით საინფორმაციო პორტალზე.

7. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი №64), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ოთარ შამუგია

მინისტრი

https://edocument.ge/mea/public/#/743-2-4-202409101007